ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 01 / 10 / 250
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ.თბილისი 1 აგვისტო, 2012წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – შემსყიდველი ორგანიზაცია), წარმოდგენილი შესყიდვების სამსახურის უფროსის ლაშა მერაბიშვილის სახით, და მეორეს მხრივ, შპს „იუ-ჯი-თი" (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის წესით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია საქონლის (შემდგომში-შესყიდვის ობიექტი) შესყიდვა.

1.2. საქონლის შესყიდვა გულისხმობს ყვარლის სასწავლო ცენტრის საჭიროებისათვის, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფასთა ცხრილით (დანართი №1) გათვალისწინებული პროდუქციის შესყიდვას.

1.3. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფასთა ცხრილი დანართი №1-ის და გარანტიის ცხრილი დანართი №2-ის სახით წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და თან ერთვის მას.

II. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფასთა ცხრილის (დანართი №1) შესაბამისად.

2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 40270.00 (ორმოციათასორასსამოცდაათი) ლარს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით, დღგ-ს ჩათვლით.

III. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება 2012 წლის 1 აგვისტოდან 2012 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით არსებული პერიოდის განმავლობაში.

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ.თბილისი, წმ. ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.№2.

IV. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მისი ფაქტობრივი მიწოდებისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მისი მიღების შემდეგ, რაც მხარეთა მიერ გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით.

V. ანგარიშსწორების ფორმა, ვადა და ადგილი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებული შემოსავლებით.

5.2. მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის ღირებულება აუნაზღაურდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ფაქტობრივად მიწოდებული პროდუქციის რაოდენობის გათვალისწინებით, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, მის მიერ შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

5.3. ანაზღაურების ადგილია ქ. თბილისი.

VI. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

- აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

6.3. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს:

- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

- მოსთხოვოს მიმწოდებელს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დანახარჯის გაწევის გარეშე.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- შესაბამისი შეტყობინების შემთხვევაში საკუთარი ხარჯებით დროულად აღმოფხვრას მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტები წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეკეთების ან შეცვლის გზით.

6.5. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

VII. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

შემსყიდველი ორგანიზაციის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის ტექნიკური მხარდაჭერის მენეჯერი, გიორგი ბაკაშვილი განახორციელებს მიმწოდებლის მხრიდან ვალდებულების შესრულების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის შემოწმებას, რომლის შედეგად იგი აგდენს შესაბამის ინსპექტირების აქტს.

VIII. გარანტია

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდული პროდუქციის სრულფასოვნად ფუნქციონირების საგარანტიო ვადა შეადგენს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან დანართ №2-ში მითითებული ვადები.

8.2. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში შესყიდული პროდუქციის ექსპლუატაციისას, ექსპლუატაციის ნორმების დაცვის პირობებში, დეფექტების გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან 20 დღეში განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეკეთება ან შეცვლა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

8.3. მიმწოდებლის მიერ 8.2 პუნქტში მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი დეფექტები და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

IX. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

9.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების ერთი მხარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარე წერილობითი ფორმით უწესებს მას დამატებით ვადას ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისათვის.

9.3 ხელშეკრულების მხარის მიერ დამატებით ვადაში ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის ან არსებითად დარღვევის შემთხვევაში, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

9.4. მიმწოდებელს, მის მიერ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესაბამისი ვადაგადაცილებული ვალდებულების შესრულების ღირებულების 0,1 პროცენტის ოდენობით.

9.5. შემსყიდველ ორგანიზაციას, მის მიერ ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.1 პროცენტის ოდენობით.

9.6. თუ ერთი მხარისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

X. ფორს-მაჟორული სიტუაციები

10.1. მხარეები პასუხისმგებელნი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: საომარი მოქმედებები, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე წინასწარ გაუთვალისწინებელი, აუცდენელი, მხარეების ნებისგან დამოუკიდებელი ობიექტური გარემოებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10.3. თუ ფორს-მაჟორული გარემოებების გამო სახეზეა მხარის მიერ ვალდებულების შესრულების დროებითი შეუძლებლობა, იგი უგზავნის წერილობით შეტყობინებას მეორე მხარეს ასეთი გარემოებების და ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ხანგრძლივობის შესახებ. თუ მეორე მხარე არ დათანხმდა ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

XI. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

11.1. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევებში ხელშეკრულების საერთო ღირებულების გაზრდა დასაშვებია მისი 10 პროცენტის ფარგლებში.

11.2. ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება და დამატება ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ ცვლილებაზე უნდა გაფორმდეს შეთანხმება, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

XII. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია 2012 წლის 1 აგვისტოდან და მოქმედებს 2012 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

XIII. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

13.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთი მხარის მიერ ცალმხრივად:

13.2.ა. თუ მეორე მხარე, დამატებით ვადაშიც, არ ასრულებს ან არსებითად არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას.

13.2.ბ. სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომისას, როცა მეორე მხარე უარს ამბობს ხელშეკრულების მისადაგებას შეცვლილ გარემოებებთან, ან შეუძლებელია შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგება. სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების გამო ხელშეკრულების შეწყვეტისას შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა აუნაზღაუროს მიმწოდებელს აღნიშნულ გარემოებებამდე წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში შემსყიდველი ორგანიზაციისათვის განხორციელებული მიწოდება.

13.2.გ. თუ მის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ან თუ მის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება ფორს-მაჟორული გარემოებების გამო

შეუძლებელია დროებით და მეორე მხარე უარს ამბობს ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებაზე შესაბამისი ხანგრძლივობით. ფორს-მაჟორული გარემოებების გამო შესყიდვის ობიექტის მიწოდების შეუძლებლობის გამო ხელშეკრულების შეწყვეტისას მიმწოდებელს უნდა აუნაზღაურდეს ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომამდე წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, შემსყიდველი ორგანიზაციისათვის განხორციელებული მიწოდება.

XIV. დავა და მისი გადაწყვეტის წესი

14.1. წამოჭრილი დავა ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოლაპარაკებების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

XV. სხვა პირობები

15.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად. ყოველ ხელმომწერ მხარესთან ინახება ერთი ეგზემპლარი. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

XVI. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები, ბეჭედი

შემსყიდველი ორგანიზაცია:
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი და გვარი: ლაშა მერაბიშვილი
მისამართი: ქ.თბილისი, წმინდა ნიკოლოზის/ნ. ხეჩინის ქ.№2
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „საქართველოს ბანკის“ ცენტრალური ფილიალი, ა/ა№008609114, ბ/კ №220101502, ს/კ №202238621

შესყიდვების სამსახურის უფროსი ლ. მერაბიშვილი

მიმწოდებელი:
შპს „იუ-ჯი-თი“
უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი და გვარი: ერმილე სულაძე
მისამართი: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 17ა
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა“, №GE88BG0000000261644601, ბ\კBAGAGE22, ს/კ№204892964

გენერალური დირექტორი ე. სულაძე

ფასთა ცხრილი

№	პროდუქტი	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1	WS200 Bundle, SMART Slate and Bluetooth Wireless Adaptor	3	1035.00	3105.00
2	SMART Classroom Suite 2011 – lab, mobile cart, computer-enabled classroom license-50-99 Users	1	1265.00	1265.00
3	SMART Board 480 With V25 Projector	1	9020.00	9020.00
4	MimioTeach interactive System	2	2950.00	5900.00
5	Optoma ES550 Projector	6	825.00	4950.00
6	Reflecta, CRYSTAL-LINE MOTOR 200x200cm matte white, borders	6	835.00	5010.00
7	86603 Reflecta QuickSet 421x323cm (viewing area 405 x 305cm)	1	6475.00	6475.00
8	Hitachi CP-WX4021N Projector	1	4545.00	4545.00
	jami			40270.00 ლარი

შპს „იუ-ჯი-თი“
უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი და გვარი: ერმილე სულაძე
მისამართი: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 17ა
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა“, №GE88BG0000000261644601,
ბ\კBAGAGE22, ს/კ№204892964

გენერალური დირექტორი ე. სულაძე

გარანტიის ცხრილი

№	პროდუქტი	რაოდენობა	გარანტია
1	**WS200 Bundle, SMART Slate and Bluetooth Wireless Adaptor**	3	2 წელი
2	**SMART Classroom Suite 2011 – lab, mobile cart, computer-enabled classroom license-50-99 Users**	1	
3	**SMART Board 480 With V25 Projector**	1	2 წელი
4	**MimioTeach interactive System**	2	1 წელი
5	**Optoma ES550 Projector**	6	1 წელი პროექტორზე, 6 თვე ნათურაზე
6	**Reflecta, CRYSTAL-LINE MOTOR 200x200cm matte white, borders**	6	1 წელი
7	**86603 Reflecta QuickSet 421x323cm (viewing area 405 x 305cm)**	1	1 წელი
8	**Hitachi CP-WX4021N Projector**	1	1 წელი პროექტორზე, 6 თვე ნათურაზე

შპს „იუ-ჯი-თი“ ვუ
უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი და გვარი: ერმილე სულაძე
მისამართი: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 17ა
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა“, №GE88BG0000000261644601,
ბ\კBAGAGE22, ს/კ№204892964

გენერალური დირექტორი ე. სულაძე